

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №124/ნ  
2015 წლის 25 სექტემბერი

ქ. თბილისი

## საგნის გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“, „მასწავლებლის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №72 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის შეფასების წესის“ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

### მუხლი 1

დამტკიცდეს საგნის გამოცდის ჩატარების წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის საგნის გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 12 ივნისის №61/ნ ბრძანება.

### მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების მინისტრი

თამარ სანიკიძე

დანართი

## საგნის გამოცდის ჩატარების წესი

თავი I

ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. რეგულირების საგანი

ეს წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ საგნის გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს ამავე წესის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აპლიკანტი – ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით საგნის გამოცდაზე დარეგისტრირებული პირი;

ბ) დაშიფვრის ინდივიდუალური სისტემა – ცენტრის მიერ დადგენილი კოდირების სისტემა;

გ) საგამოცდო ბარათი – ამონაბეჭდი საგნის გამოცდაზე რეგისტრაციის ოფიციალური ვებგვერდის [online.naec.ge](http://online.naec.ge) (შემდგომში – რეგისტრაციის ვებგვერდი) სპეციალური პროგრამიდან, რომლის საფუძველზეც პირი დაიშვება საგნის გამოცდაზე;



დ) საგამოცდო ცენტრი – საგნის გამოცდის ჩატარების მიზნით, ცენტრის მიერ სპეციალურად მოწყობილი, შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი შენობა ან მისი ნაწილი;

ე) საგამოცდო სექტორი – საგამოცდო ცენტრის დანაყოფი, სადაც აპლიკანტები განთავსდებიან საგნის გამოცდის მიმდინარეობისას;

ვ) საგნის გამოცდის პრაქტიკული ნაწილი – ცენტრის მიერ შედგენილი ტესტური დავალებები, რომლებსაც აპლიკანტი პასუხს სცემს კომპიუტერის და/ან საამისოდ გამოიზნული სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;

ზ) საგნობრივი კომისია – ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი დროებითი ორგანო;

თ) საპრეტენზიო კომისია – საგნის გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი დროებითი ორგანო;

ი) საცდელი ტესტირება – ტესტირება, რომელიც ტარდება ტესტური დავალებების აპრობაციის მიზნით, რათა დადგინდეს ტესტური დავალებების ფსიქომეტრული მაჩვენებლები (მაგ., სირთულე, დისკრიმინაციის ინდექსი);

კ) ტესტი – საგნის გამოცდის მიხედვით, ცენტრის მიერ „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასა (შემდგომში – ეროვნული სასწავლო გეგმა) და „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის (შემდგომში – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი) შესაბამისად შედგენილი ტესტური დავალებები და პასუხების ფურცელი, რომელიც კონფიდენციალურია ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.naec.ge](http://www.naec.ge)) გამოქვეყნებამდე;

ლ) ტექნიკური კონტროლი – საგნის გამოცდის ჩატარების პროცესზე დაკვირვების მეთოდი ვიდეო-აღჭურვილობის მეშვეობით;

მ) შეფასების ზოგადი კრიტერიუმი – საგამოცდო საგნების მიხედვით, ცენტრის მიერ აპლიკანტისათვის და ტესტისათვის დადგენილი ზოგადი მოთხოვნები, რომელთა საფუძველზეც იქმნება შეფასების სქემა;

ნ) შეფასების სქემა – ამ წესით დადგენილი წესით, საგამოცდო საგნების მიხედვით, ცენტრის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და შეფასების ზოგადი კრიტერიუმების შესაბამისად შედგენილი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება აპლიკანტების პასუხების ფურცლების გასწორება.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.*

### **მუხლი 3. საგნის გამოცდების ენა**

1. საგნის გამოცდა ტარდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე, გარდა ამ მუხლით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

2. საგნის გამოცდა მათემატიკაში, საზოგადოებრივ მეცნიერებებში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ესთეტიკური აღზრდის საგნებში, სპორტსა და ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ასევე ტარდება რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის, რომლებიც ასწავლიან/რომლებსაც სურთ ასწავლონ შესაბამის არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებში.

3. უსინათლო აპლიკანტებისთვის ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საგნებში გამოიყენება ბრაილის სისტემა ან სპეციალური ელექტრონული პროგრამა.



**თავი II**  
**საგნის გამოცდა**

**მუხლი 4. საგნის გამოცდა**

1. საგნის გამოცდა ტარდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ საგნებში:

- ა) ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური);
- ბ) მათემატიკა (დაწყებითი საფეხური);
- გ) ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური);
- დ) ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I – IV კლასები);
- ე) ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ვ) ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ზ) მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- თ) საზოგადოებრივი მეცნიერებები (საბაზო ან/და საშუალო საფეხური):
  - თ.ა) ისტორია;
  - თ.ბ) გეოგრაფია;
  - თ.გ) სამოქალაქო განათლება.
- ი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (საბაზო ან/და საშუალო საფეხური):
  - ი.ა) ფიზიკა;
  - ი.ბ) ქიმია;
  - ი.გ) ბიოლოგია.
- კ) უცხოური ენები (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური):
  - კ.ა) ინგლისური;
  - კ.ბ) გერმანული;
  - კ.გ) ფრანგული;
  - კ.დ) რუსული.
- ლ) ესთეტიკური აღზრდის საგნები:
  - ლ.ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
  - ლ.ბ) მუსიკა.
- მ) სპორტი;
- ნ) ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

2. საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება გულისხმობს საგნის გამოცდის ტესტში ცენტრის წარდგინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი ქულების დაგროვებას.



3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა საგნის გამოცდის ჩატარებამდე, არა უგვიანეს 2 თვისა.

4. საგნის გამოცდა მოიცავს წერით ან/და პრაქტიკულ ნაწილს. საგნის გამოცდა ტარდება ტესტირების გზით.

#### **მუხლი 4<sup>1</sup>. საგნის გამოცდის ჩატარების პერიოდულობა**

1. საგნის გამოცდა ტარდება წლის განმავლობაში ორჯერ – ზაფხულში და ზამთარში ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ თარიღებში.

2. ზამთარში ჩატარებულ საგნის გამოცდაში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებს.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.*

#### **მუხლი 5. საგნის გამოცდაში მონაწილეობის უფლება**

1. საგნის გამოცდაში მონაწილეობის უფლება აქვს ამ წესით დადგენილი პროცედურებით საგნის გამოცდაზე დარეგისტრირებულ:

ა) მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებულ მასწავლებელს;

ბ) ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც მიღებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხი, ასევე სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირს;

გ) მასწავლებლობის მსურველს, რომელსაც დიპლომის საფუძველზე აქვს მასწავლებლობის უფლება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებთან დაკავშირებით ცენტრი ეყრდნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან (შემდგომში – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) მოწოდებულ ინფორმაციას.

3. საგნის გამოცდაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, მათ შორის, ამ წესის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სიებში გათვალისწინებული არ იქნება ის აპლიკანტი, რომელიც ამ წესით დადგენილი პროცედურებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში არ წარადგენს ბაკალავრის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს;

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.*

#### **მუხლი 6. საგნის გამოცდის საფასური**

1. საგნის გამოცდის საფასური მოიცავს:

ა) საგნის გამოცდაში მონაწილეობის საფასურს, რომელსაც იხდის ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირი და რომლის ოდენობაც თითოეულ საგანში შეადგენს 50 ლარს;

ბ) აპლიკანტის ინიციატივით ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადის საფასურს, რომლის ოდენობაც შეადგენს 50 ლარს.



2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხის შეტანა ხდება ცენტრის საბანკო ანგარიშზე.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასური სრულად ბრუნდება, თუ შესაბამისი აპლიკანტი საგნის გამოცდაზე ცენტრში რეგისტრაციის ვადის განმავლობაში არ დარეგისტრირდა საგნის გამოცდაზე ან ამ ვადის ამოწურვამდე უარი განაცხადა საგნის გამოცდაში მონაწილეობაზე, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფასური სრულად ბრუნდება, თუ აპლიკანტი საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვამდე არ წარადგენს საპრეტენზიო განაცხადს ან ამ ვადის ამოწურვამდე უარს განაცხადებს საპრეტენზიო განაცხადზე.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ ტესტის შეფასებასთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადის საფუძველზე შეიცვლება ტესტის შეფასება.
5. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფასური გადახდილია ამავე ქვეპუნქტებით განსაზღვრულზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში) ან შესაბამის აპლიკანტს უბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და საფასურის დადგენილ ოდენობას შორის.
6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადახდილი საფასურის დაბრუნების შესახებ ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით განცხადების წარდგენა ხდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით განცხადების წარდგენა – საგნის გამოცდის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში. საფასურის თანხა ცენტრის მიერ დაბრუნდება განცხადების მიღების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.*

### **მუხლი 7. საგნის გამოცდის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოები**

1. საგნის გამოცდის ჩატარებას კოორდინაციას უწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
2. საგნის გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს ცენტრი.
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები – საგანმანათლებლო რესურსცენტრები (შემდგომში - რესურსცენტრი) ვალდებული არიან ცენტრის მიმართვის შემთხვევაში უზრუნველყონ ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს საგნის გამოცდაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა რეგისტრაციასა და საგნის გამოცდის ჩატარებას.
4. ცენტრის მიმართვის შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულება საგნის გამოცდებისა და საცდელი ტესტირებების ჩატარებისთვის უზრუნველყოფს მის სარგებლობაში არსებული შენობების ან/და შენობებში არსებული საჭირო ფართის გამოყოფას.

### **თავი III**

#### **საგნის გამოცდის ორგანიზება**

### **მუხლი 8. ტესტის, შეფასების ზოგადი კრიტერიუმებისა და შეფასების სქემის მომზადება**

1. საგნის გამოცდების თითოეული ნაწილისათვის ტესტებს, შეფასების ზოგად კრიტერიუმებსა და შეფასების სქემებს შეიმუშავენ ცენტრი.
2. საგნის გამოცდების შეფასების ზოგადი კრიტერიუმები და ტესტის მაქსიმალური ქულები დგინდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით საგნის გამოცდების დაწყებამდე.
3. საგნის გამოცდების ჩატარების შემდეგ თითოეული საგნის შესაბამისად, ცენტრი ქმნის პირველად



შეფასების სქემებს. შეფასების სქემები საბოლოოდ ფორმირდება და ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება აპლიკანტთა პასუხების ფურცლების პირველადი გასწორების შემდგომ.

### **მუხლი 9. ცენტრში რეგისტრაცია**

1. საგნის გამოცდაზე ცენტრში პირის რეგისტრაცია ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი პროცედურებისა და ცენტრის მიერ განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

2. საგნის გამოცდაზე რეგისტრაციის მიზნით პირის მიერ განცხადება ივსება ელექტრონული ფორმით, ონლაინ რეჟიმში, ცენტრის ოფიციალური ვებგვერდისა [www.naec.ge](http://www.naec.ge) და რეგისტრაციის ვებგვერდის სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

3. საგნის გამოცდაზე რეგისტრაციის გავლამდე, პირი რეგისტრაციის ვებგვერდზე უთითებს ელექტრონული ფოსტის მისამართს, რის შემდეგაც ცენტრი ელექტრონული ფოსტის მისამართზე პირს უგზავნის შეტყობინებას შესაბამისი კოდის მითითებით იმის თაობაზე, რომ მას უფლება აქვს გაიაროს რეგისტრაცია.

4. ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირს სპეციალური პროგრამა არ შეუშვებს სისტემაში, თუ მას წინასწარ გადახდილი არ აქვს ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგნის გამოცდაში მონაწილეობის საფასური.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კოდის მიღების შემდეგ, პირი რეგისტრაციის ვებგვერდზე უთითებს თავის პირად ნომერს, დაბადების თარიღს (რიცხვი, თვე, წელი) და ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ კოდს.

6. პირი ვერ გაივლის რეგისტრაციას, თუ შესაბამის ველში აღნიშნით არ დაადასტურებს, რომ ეთანხმება ცენტრის მიერ დადგენილ პირობებს და გამოთქვამს მზადყოფნას გააგრძელოს რეგისტრაცია.

7. რეგისტრაციის დროს პირი უთითებს/აღნიშნავს:

ა) საკონტაქტო ტელეფონის ნომერს;

ბ) იმ საგანს, რომლის ჩაბარებაც სურს. პირი უფლებამოსილია რეგისტრაციის დროს მიუთითოს მხოლოდ ერთი საგნის გამოცდა;

გ) სასურველ საგამოცდო ქალაქს;

დ) ცენტრის მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას.

8. რეგისტრაციის წარმატებით გავლის თაობაზე, აგრეთვე რეგისტრაციის მიმდინარეობისას შევსებულ განცხადებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების თაობაზე პირს ეგზავნება შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

9. ცენტრის მოთხოვნის შემთხვევაში პირმა უნდა წარმოადგინოს ცენტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტები.

10. (ამოღებულია - 13.06.2016; №69/ნ).

11. (ამოღებულია - 13.06.2016; №69/ნ).

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.*

### **მუხლი 10. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრში რეგისტრაცია**

1. ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისთვის საგნის გამოცდაზე რეგისტრაცია მოიცავს ორ ეტაპს:



ა) ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ რეგისტრაციას;

ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში რეგისტრაციას.

2. საგნის გამოცდაში მონაწილეობის, მათ შორის ამ წესის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სიაში გათვალისწინების უფლების მქონე პირების დადგენის მიზნით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ რეგისტრაციას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის გავლის მიზნით პირი ავსებს და ნებისმიერ რესურსცენტრში წარადგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ განცხადებას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და პირადი ნომერი (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით);

ბ) ჩასაბარებელი საგანი;

გ) თანდართული საბუთების ნუსხა.

5. პირი განცხადებასთან ერთად რესურსცენტრში წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ასლს.

6. რესურსცენტრი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის ვადის გასვლიდან 2 დღის ვადაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს უგზავნის ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული განცხადებების ასლებს და ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.*

### **მუხლი 11. მონაცემთა ელექტრონული ბაზა და აპლიკანტის საგამოცდო ბარათები**

1. საგნის გამოცდის ჩატარების მიზნით, ცენტრი ქმნის მონაცემთა ელექტრონულ ბაზას, რომლის შესაბამისადაც ხდება საგნის გამოცდების დაგეგმვა.

2. ცენტრი უფლებამოსილია საგნის გამოცდაზე რეგისტრაციის, მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნისა და საგნის გამოცდების ჩატარების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემებით.

3. ცენტრი მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით რეგისტრაციის ვებგვერდის სპეციალურ პროგრამაში განათავსებს საგამოცდო ბარათებს, რომელიც შეიცავს:

ა) აპლიკანტის სახელს, გვარს, პირად ნომერს, საგამოცდო ნომერს;

ბ) საგნის გამოცდის სახელწოდებას;

გ) საგამოცდო ცენტრის დასახელებას და მისამართს;

დ) საგნის გამოცდის ჩატარების თარიღს და საგნის გამოცდის რეგისტრაციის დაწყების დროს;



ე) ცენტრის მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას.

4. (ამოღებულია - 13.06.2016; №69/ნ).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 დეკემბრის ბრძანება №162/ნ - ვებგვერდი, 15.12.2015წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.

## თავი IV ტესტირება

### მუხლი 12. (ამოღებულია)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.

### მუხლი 13. საგნის გამოცდის ჩატარების დრო და ადგილი

1. საგნის გამოცდები ტარდება საგამოცდო ცენტრებში, რომლებიც განლაგებულია ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შენობებში.
2. საგნის გამოცდა შესაბამის საგანში ყველა საგამოცდო ცენტრში მიმდინარეობს ერთდროულად. საგნის გამოცდა შესაძლოა ჩატარდეს ორი დღის განმავლობაში.
3. ფორსმაჟორული გარემოების არსებობისას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება შესაბამის ან სხვა საგამოცდო ცენტრში საგნის გამოცდის ჩატარების განსხვავებული თარიღი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.

### მუხლი 14. საგნის გამოცდის მიმდინარეობის პროცესზე დასწრება

1. საგნის გამოცდის მიმდინარეობის დროს საგამოცდო ცენტრში დაშვებულია მხოლოდ იმ პირების ყოფნა, რომელთაც აქვთ ცენტრის მიერ გაცემული სპეციალური დოკუმენტი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის საგამოცდო ცენტრში ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს საგნის გამოცდის მიმდინარეობას. საგამოცდო ცენტრში დაშვებულ პირს ეკრძალება ტესტის შინაარსთან დაკავშირებით აპლიკანტის დახმარება ან მისი მუშაობისათვის ხელის შეშლა.

### მუხლი 15. საგამოცდო ცენტრში რეგისტრაცია

1. საგნის გამოცდაში მონაწილეობის მიღების მიზნით აპლიკანტი ვალდებულია:
  - ა) დროულად გამოცხადდეს საგამოცდო ცენტრში რეგისტრაციის პროცედურაზე, რომელიც მიმდინარეობს ცენტრის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ დროს;
  - ბ) თან იქონიოს:
    - ბ.ა) საგამოცდო ბარათი;
    - ბ.ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის ბეჭდით და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დამოწმებული განაცხადი/განცხადება-ანკეტა/ამონაბეჭდი ან სხვა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი და პირადი ნომერი;
    - ბ.გ) თუ დოკუმენტი/დოკუმენტები უცხოურ ენაზეა შედგენილი, ასევე სანოტარო წესით დამოწმებული ქართული თარგმანი.
2. საგამოცდო ცენტრში რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აპლიკანტი არ დაიშვება საგნის გამოცდაზე, გარდა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შემთხვევისა.





3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი ტესტირებაზე დაიშვება მხოლოდ ცენტრში ინფორმაციის გადამოწმების შემდგომ. საგამოცდო ცენტრში გამოცხადებული პირი არ დაიშვება ტესტირებაზე, თუ აღმოჩნდება, რომ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არ არსებობს აპლიკანტის შესახებ ინფორმაცია ან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ფოტოსურათი არ შეესაბამება საგამოცდო ცენტრში გამოცხადებულ პიროვნებას.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გადამოწმება მოითხოვს გარკვეულ დროს, აპლიკანტი დაშვებული იქნება ტესტირებაზე. თუ ტესტირების მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ გამოვლინდება, რომ – მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არ არსებობს აპლიკანტის შესახებ ინფორმაცია ან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ფოტოსურათი არ შეესაბამება ტესტირებაზე გასულ პიროვნებას, პირის ნაშრომი (პასუხების ფურცელი) არ გასწორდება.

5. საგნის გამოცდაზე გამოუცხადებლობა აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი საგნის გამოცდის ჩატარება, მიუხედავად იმისა, საგნის გამოცდაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო თუ არა საპატიო მიზეზით.

6. ცენტრი უზრუნველყოფს სპეციალურად მოწყობილ საგამოცდო სექტორში იმ აპლიკანტების განთავსებას, რომლებიც საჭიროებენ სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს.

7. აპლიკანტი ვალდებულია გადამდები დაავადების თაობაზე (დაავადება, რომელმაც შეიძლება საგამოცდო პროცესში მონაწილე სხვა პირის ჯანმრთელობას შეუქმნას საფრთხე) სამედიცინო ცნობა ცენტრში ან საგამოცდო ცენტრში წარადგინოს საგნის გამოცდის დაწყებამდე.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.*

**მუხლი 16. ტესტირების მიმდინარეობა**

1. ტესტირება მიმდინარეობს ცენტრის მიერ დადგენილი პროცედურებით.
2. ტესტირების დაწყებამდე ხდება პასუხების ფურცლის დამიფვრა ინდივიდუალური სისტემით.
3. ცენტრი ადგენს ტესტირებისათვის გამოყოფილ საგამოცდო დროს, თითოეული საგნის გამოცდისათვის.
4. ტესტზე მუშაობის პროცესში აპლიკანტს ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, კალმით და სუფთა თაბახის ფურცლებით.
5. საგნის გამოცდის მიმდინარეობისას აპლიკანტს უფლება აქვს თან იქონიოს:
  - ა) წყალი;
  - ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;
  - გ) ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები;
  - დ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა ნივთები ცენტრის წინასწარი თანხმობით.
6. საგნის გამოცდის მიმდინარეობისას აპლიკანტს ეკრძალება:
  - ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის შეტანა;
  - ბ) ტესტირებაზე დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლებისა და სხვათა გამოყენება. ფურცლების გამოყენება შესაძლებელია საგნის გამოცდის პრაქტიკული ნაწილის დროს მეთვალყურესთან/კურატორთან შეთანხმებით;
  - გ) პასუხების ფურცლის შესავსებად ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კალმის გარდა, სხვა კალმის გამოყენება, აგრეთვე, პასუხების ფურცელზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, ნომერი,



მისამართი და სხვ.) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;

დ) საგნის გამოცდის პრაქტიკული ნაწილის დროს სახელისა და გვარის და სხვა ისეთი სიტყვის გამოყენება, რომელიც შესაძლებელს ხდის პირის იდენტიფიცირებას;

ე) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება, სხვა აპლიკანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ვ) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად;

ზ) საგნის გამოცდის წერითი ნაწილის დროს მერხზე პასუხების ფურცლის, კალმის, თაბახის ფურცლებისა და ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარდა, ხოლო საგნის გამოცდის პრაქტიკული ნაწილის დროს მერხზე ამ წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარდა სხვა ნივთების მოთავსება, გარდა ცენტრის მიერ ნებადართული ნივთებისა.

თ) ტესტზე მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე;

ი) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ ტესტზე მუშაობის გაგრძელება.

7. ცენტრი საგნის გამოცდების მიმდინარეობაზე დაკვირვებას უზრუნველყოფს ვიდეოაღჭურვილობის მეშვეობით.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.*

### **მუხლი 17. საგნის გამოცდის მიმდინარეობის წესის დარღვევა**

1. საგნის გამოცდის მიმდინარეობისას აპლიკანტი მიიღებს გაფრთხილებას:

ა) ამ წესის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ნივთების გარდა სხვა ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში;

ბ) ამ წესის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“, „გ“ და „ე“ – „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

2. ამ წესის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის შემთხვევაში, გაფრთხილების მიცემასთან ერთად აპლიკანტს ჩამოერთმევა პასუხების ფურცელი, რომლის ნაცვლად გადაეცემა სარეზერვო პასუხების ფურცელი.

3. ამ წესის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტით და მე-6 პუნქტის „ბ“, „გ“ და „ე“ – „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის განმეორების შემთხვევაში აპლიკანტი იხსნება საგნის გამოცდიდან, რაც ფორმდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ოქმის შესაბამისად.

4. საგნის გამოცდიდან აპლიკანტის გაფრთხილების გარეშე მოხსნა შესაძლებელია:

ა) ამ წესის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში;

ბ) წესრიგის უხეში დარღვევის, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში;

გ) ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში.

5. გაფრთხილების გარეშე აპლიკანტის საგნის გამოცდიდან მოხსნა ფორმდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ოქმის შესაბამისად.



6. აპლიკანტი გამოცდიდან შესაძლოა მოიხსნას საგნის გამოცდის მიმდინარეობის დროს ან საგნის გამოცდის შემდეგ. საგნის გამოცდის შემდეგ აპლიკანტი შესაძლოა გამოცდიდან მოიხსნას მის მიერ საგნის გამოცდის პროცედურის დარღვევის დადგენის შემთხვევაში.

7. გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში აპლიკანტის ნაშრომი არ გასწორდება.

### **მუხლი 18. ტესტური დავალებებისა და მათი პასუხების გამოქვეყნება**

ცენტრი, ყველა საგნის გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 დღისა, უზრუნველყოფს საგნის გამოცდებზე გამოყენებული ტესტური დავალებებისა და მათი პასუხების განთავსებას ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.*

### **მუხლი 19. პასუხების ფურცლების განადგურება**

ცენტრი, ამ წესის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესით ტესტების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებიდან 12 თვის შემდეგ უზრუნველყოფს პასუხების ფურცლების განადგურებას.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 4 იანვრის ბრძანება №01/ნ - ვებგვერდი, 06.01.2015წ.*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.*

## **თავი V**

### **საგნის გამოცდის შედეგები**

#### **მუხლი 20. ნაშრომების გასწორება და საგნის გამოცდის შედეგები**

1. პასუხების ფურცელი სწორდება შესაბამისი საგნის გამოცდის დასრულებიდან 60 დღის ვადაში.
2. გამსწორებლის მიერ სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.

3. ტესტის შინაარსის გათვალისწინებით პასუხების ფურცლები სწორდება:

ა) კომპიუტერის და საამისოდ გამიზნული სხვა ტექნიკური საშუალებების მეშვეობით;

ბ) ორი დამოუკიდებელი გამსწორებლის მიერ, დამოუკიდებლად მინიმუმ ორჯერ. მათ შორის შეფასებაში სხვაობის შემთხვევაში პასუხების ფურცელი სწორდება მესამე გამსწორებლის მიერ. მესამედ გასწორების შედეგად მიღებული ქულა საბოლოოა.

4. არ გასწორდება:

ა) პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოყენებული იქნება სხვა კალამი (კალამი, რომელიც არ არის გადაცემული ცენტრის მიერ) ან რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს ან რაიმე სახის გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;

ბ) საგნის გამოცდის პრაქტიკული ნაწილის პასუხების ფურცელზე არსებული ჩანაწერი, რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს.

5. პასუხების ფურცელი არ გასწორდება ამ წესის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

6. საგნის გამოცდაში მიღებული ქულები, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ დაინტერესებული პირისთვის, ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.

## **თავი VI**

### **საგნის გამოცდის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების წარდგენა და განხილვა**

#### **მუხლი 21. საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის უფლება**

აპლიკანტს უფლება აქვს, ამ თავით დადგენილი წესით წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი საგნის გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე და ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით.



## **მუხლი 22. საპრეტენზიო განაცხადის მიღებაზე უფლებამოსილი ორგანო**

1. საგნის გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე საპრეტენზიო განაცხადის წარდგენა ხდება საგამოცდო ცენტრში.
2. ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადის წარდგენა ხდება ელექტრონული ფორმით, ონლაინ რეჟიმში, ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის ([www.naec.ge](http://www.naec.ge)) ან რეგისტრაციის ვებგვერდის გამოყენებით.

## **მუხლი 23. საპრეტენზიო განაცხადის ფორმა და მისი წარდგენა**

1. აპლიკანტი საპრეტენზიო განაცხადს წარადგენს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.
2. აპლიკანტი ვერ წარადგენს საპრეტენზიო განაცხადს, თუ მას წინასწარ გადახდილი არ აქვს ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრეტენზიო განაცხადის განხილვის საფასური.
3. საგნის გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე საპრეტენზიო განაცხადის წარდგენისას აპლიკანტმა თან უნდა იქონიოს საგამოცდო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

## **მუხლი 24. საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადა**

1. საგნის გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე აპლიკანტს არაუგვიანეს იმავე საგამოცდო დღის 21:00 საათისა, საგამოცდო ცენტრში, რომელშიც ჩააბარა საგნის გამოცდა, შეაქვს საპრეტენზიო განაცხადი, რომელიც არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ეგზავნება ცენტრს. ცენტრი უზრუნველყოფს საპრეტენზიო კომისიისათვის საპრეტენზიო განაცხადის დაუყოვნებლივ მიწოდებას.
2. აპლიკანტი ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით, საპრეტენზიო განაცხადს ავსებს ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში. საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადა არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები.

## **მუხლი 25. საპრეტენზიო განაცხადის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო**

1. საგნის გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადები განიხილება საპრეტენზიო კომისიის მიერ.
2. ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადები განიხილება შესაბამისი საგნობრივი კომისიის მიერ.
3. ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადების განხილვისას საპრეტენზიო კომისიისთვის ცნობილი არ უნდა იყოს აპლიკანტის ვინაობა.
4. საგნობრივი კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა ტესტის შედგენაში ან მიმდინარე წელს არის საგნის გამოცდის გამსწორებელი.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.*

## **მუხლი 26. საგნის გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევა**

საგნის გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადი შეიძლება ეხებოდეს:

- ა) პრეტენზიის წარმდგენი აპლიკანტის უფლებების დარღვევას საგნის გამოცდის პროცესის მონაწილე სხვა პირის მიერ;
- ბ) სხვა აპლიკანტის მიმართ საგნის გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევას საგნის გამოცდის პროცესის მონაწილე სხვა პირის მიერ (აპლიკანტისათვის დახმარების აღმოჩენა და ა.შ).

## **მუხლი 27. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება**

1. საპრეტენზიო კომისია საგნის გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილ საპრეტენზიო განაცხადთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საპრეტენზიო განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან 5 დღის ვადაში.
2. საგნის გამოცდის პროცედურის დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საპრეტენზიო კომისიამ შეიძლება მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:



- ა) აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურებისას – მისი ნაშრომის გასწორების თაობაზე;
  - ბ) აპლიკანტის მიერ საგნის გამოცდის პროცედურის დარღვევისას – მისი გამოცდიდან მოხსნის თაობაზე.
3. საპრეტენზიო კომისია გადაწყვეტილებას მისი მიღებიდან ორი დღის ვადაში გადასცემს ცენტრის დირექტორს.
4. ცენტრი საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან ორი დღის ვადაში უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აპლიკანტისთვის გაცნობას.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.*

**მუხლი 28. ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადის განხილვა და საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილება**

- 1. ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადი, ნაშრომთან ერთად გადაეცემა შესაბამის საგნობრივ კომისიას, რომლის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- 2. საპრეტენზიო განაცხადის განხილვისას, საგნობრივი კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ საპრეტენზიო განაცხადში მითითებული ტესტური დავალების/დავალებების ფარგლებში, ტესტური დავალების/დავალებების შეფასების სისწორეზე და საპრეტენზიო განაცხადების წარმოდგენის ვადის დასრულებიდან 20 დღის ვადაში მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები:

- ა) აპლიკანტისთვის ქულის მომატების შესახებ;
- ბ) აპლიკანტისთვის ქულის დაკლების შესახებ;
- გ) აპლიკანტისთვის ქულის უცვლელად დატოვების შესახებ.

- 3. საგნობრივი კომისია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას, მისი მიღებიდან ორი დღის ვადაში გადასცემს ცენტრის დირექტორს.
- 4. საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილებები ცენტრის მიერ განთავსდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე საპრეტენზიო განაცხადების წარმოდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 25 დღისა. საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილებები, საგამოცდო ბარათის კოდის გამოყენებით, ხელმისაწვდომია მხოლოდ დაინტერესებული პირისათვის.

**თავი VII  
საგნის გამოცდის საბოლოო შედეგები**

**მუხლი 29. საგნის გამოცდის საბოლოო შედეგები**

- 1. საგნობრივი კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მიღებიდან 20 დღის ვადაში, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება:
  - ა) ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირთა სია, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს საგნის გამოცდა;
  - ბ) ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთა სია, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს საგნის გამოცდა.
- 2. ცენტრი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სიების შემუშავების დროს ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. ცენტრის მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ცენტრის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას განსაზღვრული ფორმის შესაბამისად გადასცემს ცენტრს.
- 3. ცენტრი ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სიებს ათავსებს საჯარო



სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებულ მასწავლებლის შეფასების ელექტრონულ სისტემაში, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სიებს აგზავნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.

## თავი VIII გარდამავალი დებულებანი

### მუხლი 30. გარდამავალი დებულებები

1. ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება და ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ლ.ბ“ და „მ“ ქვეპუნქტებით დადგენილი საგნის გამოცდების ჩატარება ცენტრმა უზრუნველყოს 2016 წელს.
2. 2016 წლის იანვარში/თებერვალში ჩასატარებელ საგნის გამოცდაში მონაწილეობის საფასურს არ იხდის მასწავლებელი, რომელიც განაწილებულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.
3. 2021 წლის ბოლომდე ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აპლიკანტი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მას არ მოეთხოვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხის ფლობა, ასევე სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირი.
4. 2016 წლის ზაფხულში ჩასატარებელ:
  - ა) საგნის გამოცდაში მონაწილეობის უფლება აქვს და საგნის გამოცდაში მონაწილეობის საფასურს არ იხდის მასწავლებელი, რომელიც განაწილებულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში;
  - ბ) საგნის გამოცდისთვის მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი არ ახორციელებს სპეციალურ პროგრამაში დადასტურებას, რომ პირს უფლება აქვს გავიდეს საგნის გამოცდაზე;
  - გ) საგნის გამოცდაში მონაწილეობის საფასურის დაბრუნების შესახებ ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით განცხადების წარდგენა ხდება 2016 წლის 13 ივნისიდან 20 ივნისის ჩათვლით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 14 დეკემბრის ბრძანება №162/ნ - ვებგვერდი, 15.12.2015წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 13 ივნისის ბრძანება №69/ნ - ვებგვერდი, 13.06.2016წ.

